MES 3 23 0001771665

27/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

რუსუდან ზვიადური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა:**

მარინე სამუშია - დირექტორი

2. **სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1:**

მაია მზარელუა - დირექტორი

3. **სსიპ - ქალაქ თბილისის N214საჯარო სკოლა:**

ხათუნა მამაცაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. **სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა:**

მანანა ლონდარიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

5. **სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა:**

ნელი ნათენაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

6. **სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლა**

სვეტლანა ბოკუჩავა - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

7. **სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლა**

მალვინა ოსეფაიშვილი - დირექტორი

8. **სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა:**

   სამსონ ჯიბუტი - დირექტორი

9. **სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა:**

   მანანა გურგენიძე - დირექტორი

10. **სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლა:**

ეკატერინე ბუაჩიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

11. **სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა:**

რუსუდან ფანგანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა:

ა) ნინო ვასაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამთა დარსაველიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ეთერი ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ე) ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) მანანა სეხნიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
კ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1:
ა) ლელა ჯაში - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნატო ოგანეზოვი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მზევინარი დარბაისელი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლა:
ა) ხათუნა ბარაბაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თინა ძულიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) თეონა მაცაბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ლანა კუჭავა - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) გოჩა ღონღაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

გ) ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნინო თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ლაცაბიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თინათინ მარქარაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) გოჩა ღონღაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნინო თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ლაცაბიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნანა კუნჭულია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თინათინ მარქარაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლა:
ა) ია სოხაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) დარეჯან ზარანდია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) აკაკი სადუნიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) სოფიო დუმბაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეკა მოსიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) მარინა ანესაშილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლა:
ა) ნინო კაშია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ლევან ღურწკაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ვ) ეკატერინე ხუცოშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) სერგო დურგლიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) მარინა ანესაშილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა:
ა) ნინო კაშია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ლევან ღურწკაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) თამარ ხატიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მარინე შანშიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მორის გუმბარიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა:
ა) მაგდა მიქაბერიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნათია ღოღობერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ხათუნა დუგლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნინო შუბლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნელი ნაოჭაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) დავით ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მარინა თავართქილაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თამარ დეკანოსიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თემურ კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) მარი ფალელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნანა კასრაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) სოფიო მურუსიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7.სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გურამიშვილის N14ა-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გამორჩეული მიდგომა, კერძოდ, პედაგოგი მოსწავლეებს ეხმარებოდა, რომ ტექსტები იაპონური მხატვრობის სტილთან (მანგასთან) დაეკავშირებინათ, აღქმისა და დასწავლის პროცესის გაადვილების მიზნით.

ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე და მეორე სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“, კომპონენტები 3.1; 3.4; 3.5 და 2.2 (სამივე საფეხურზე) ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როდის განხორციელდა შენობის რეაბილიტაცია და რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში საავტორიზაციო ჯგუფის ვიზიტის პერიოდში.
სკოლის დირექტორმა, მარინე სამუშიამ განმარტა, რომ სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა 9 წლის წინ, თუმცა სველი წერტილები გარემონტდა 2020 წელს. მან ასევე დაამატა, რომ სკოლის სრულ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა კომუნიკაცია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. მისი თქმით, მომავალი წლიდან სკოლა გათვალისწინებული იყო რეაბილიტაციის პროექტში. რაც შეეხებოდა მოსწავლეთა რაოდენობას მიმდინარე პერიოდში, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 936 მოსწავლე, რომელთაგან 30 იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, საბჭოსთვის გაეცნოთ მეტი დეტალი სასკოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით, ასევე, იყო თუ არა დოკუმენტურად ასახული მასწავლებელთა განვითარებისა და მხარდაჭერის სამომავლო გეგმები.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა შეროზიამ ისაუბრა სასკოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ კურიკულუმებში იკვეთებოდა გარკვეული სახის ტექნიკური ხარვეზები, რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული იყო რეკომენდაციები და სკოლამ გაითვალისწინა თითოეული მათგანი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, მანანა სეხნიაშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლებმა, ინტერვიურების დროს, აღწერეს სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც საწყის ეტაპზე დოკუმენტურად არ ჰქონდათ ასახული. რაც შეეხებოდა მასწავლებელთა მხარდაჭერის გეგმას, ექსპერტმა, ნინო ვასაძემ ისაუბრა და განმარტა, რომ პროფესიული განვითარების გეგმა ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა ხორციელდებოდა გაკვეთილების პროცესზე დაკვირვება, ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა, შემდგომ კონკრეტული მიმართულებით ინტენსიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს

ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007679) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გურამიშვილის 14 ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გურამიშვილის 14 ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გურამიშვილის 14 ა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტები.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, უზრუნველყოს დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა, ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი

№41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან, გარდა ამისა, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით შენობის ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარდგენა.

2. სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სენაკში, რუსთაველის ქუჩა N255-ში, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 160 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას არ შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 160 მოსწავლისთვის. ლელა ჯაშმა დააზუსტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია არაუმეტეს 140 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტები 1.1; 1.2; 4.1 და 4.2 შეფასდა მეტწილად. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო ნაწილობრივად შესაბამისად, ვინაიდან, კომპონენტები 3.1; 3.3; 3.4; 3.5; 3.6 შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც, „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგა, ვინაიდან დადგენილ ვადაში სკოლამ ვერ წარმოადგინა სტანდარტით მოთხოვნილი დოკუმენტები, კერძოდ, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ექსპერტებს შეკითხვებით: ვინაიდან, აღნიშნული სკოლა მესამედ გადიოდა ავტორიზაციის პროცედურას, იცნობდნენ თუ არა ექსპერტები წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა წინარე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და დასძინა, რომ სკოლას ჰქონდა დადებითი დასკვნა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იყო ექსპერტებს დასკვნაში დაეფიქსირებინათ ყველა რჩევა და რეკომენდაცია, რათა მკაფიო სურათი შექმნილიყო სკოლის შემდგომი დინამიკის თაობაზე, გაუმჯობესდა თუ არა დაწესებულებაში ის მიმართულებები, რომლებზეც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა სკოლის შენობის საკითხი, კერძოდ, უფიქსირებოდა თუ არა სკოლას დოკუმენტებში რაიმე სახით (საკუთრების, ან საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე) შენობის კანონიერად ფლობის უფლება.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საიჯარო ხელშეკრულება, გაფორმებული 2030 წლამდე, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულება არ იყო ასახული საჯარო რეესტრის ამონაწერში. ექსპერტმა დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლას უფიქსირებოდა 4 კვ.მ ფართი სარგებლობის უფლებით 2030 წლამდე, ხოლო შენობის დანარჩენი ნაწილის სარგებლობის უფლების საბოლოო თარიღად ფიქსირდებოდა 11.07.2023 წელი.
ლელა ჯაშმა საბჭოს გაუზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამი დოკუმენტი ფართის ფლობის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე გაზიარებულ ორ დოკუმენტში 35.24 კვ.მ და 214.70 კვ.მ ფართზე მოიჯარის მიერ სარგებლობის საბოლოო თარიღად ფიქსირდებოდა 11.07.2023 წელი, ხოლო მესამე დოკუმენტში 4.28 კვ.მ ფართის სარგებლობის საბოლოო თარიღად მითითებული იყო 11.07.2030 წელი.
სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ ისაუბრა შენობის ფლობის უფლებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მოკვლევისას პასუხისმგებელმა ორგანომ შეიყვანა შეცდომაში, კერძოდ, შესაბამისი უწყებიდან მიღებული ინფორმაციით, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ უნდა ფიქსირდებოდეს თარიღი და აღნიშნული მიეთითებოდა მხოლოდ საიჯარო ხელშეკრულებაში.
ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბების დროს იხელმძღვანელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის სკოლაში გაგზავნის შემდეგ დაწესებულებამ ცენტრში წარადგინდა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განუმარტა სკოლის წარმომადგენელს, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლას უნდა წარმოედგინა არგუმენტირებული პოზიცია მოცემული ხარვეზის თაობაზე, თუმცა, სკოლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს დაეთანხმა და არ გამოუხატავს რაიმე სახის წინააღმდეგობრივი პოზიცია.
სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ განმარტა, რომ მას არ მიუქცევია ყურადღება ამ საკითხისთვის, ხოლო განახლებული ამონაწერის წარმოდგენა სკოლას შეეძლო.
საბჭოს თავმჯდომარის, დავით მალაზონიას თქმით, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლას მიმდინარე პერიოდში საკუთრებაში უფიქსირდებოდა მხოლოდ 4.28 კვ.მ ფართით სარგებლობის უფლება შვიდი წლის ვადით, ხოლო დანარჩენი ფართის ფლობის ვადა საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ამოწურული იყო. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეზიარებინათ ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
სკოლის წარმომადგენელს დოკუმენტი არ წარმოუდგენია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადატანასთან დაკავშირებით. მან დააზუსტა, რომ განსახილველი საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და

შეფასების მიზნით, დებულების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საბჭოს მომდევნო სხდომაზე დაწესებულებას უნდა წარმოედგინა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი, რის შემდეგაც საბჭო განაგრძობდა აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვას.
სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ დაადასტურა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება სრულებით მისაღები იყო დაწესებულებისთვის და გამოთქვა მზაობა დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე.
სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სტატუსის უწყვეტობის მიზნით, დაწესებულების მიერ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი ვადის დარღვევით იყო წარმოდგენილი. დაწესებულების ავტორიზაციის ვადა სრულდებოდა მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, შესაბამისად, ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უწყვეტობა.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი და ვერ მიიღებდა მოცემული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლას ჰქონდა ორი შენობა, რომელიც მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ოდიშელიძის ქუჩა N19-ში (დაბა კოჯორი) და დიდების ქუჩა N6-ში (სოფელი კიკეთი). სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 210 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 210 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ პირველი, მეორე და მესამე სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტები 3.1; 3.4; 3.5 და კომპონენტი 2.2 სამივე საფეხურზე შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ასევე, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ დასკვნაში აღწერილი პირველი სტანდარტის შეფასება წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და სტანდარტის შეფასება იყო „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ნაცვლად მეტწილი შესაბამისობისა.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რაც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული პროფესიულ კოლეჯთან „იკაროსი“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნობოდნენ კონდიტერიისა და სერვირების პროფესიებს, თავად ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა აქტივობებში და განესაზღვრათ რამდენად საინტერესო იყო აღნიშნული პროფესიული მიმართულებები მათთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს რა ობიექტურმა გარემოებებმა შეუშალა ხელი დაწესებულებას, სათანადოდ მომზადებულიყო ავტორიზაციისთვის.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ხათუნა მამაცაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე სკოლას დაწყებული ჰქონდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, თუმცა, ვინაიდან, ავტორიზაციასთან დაკავშირებული პროცესები სხვადასხვა უწყებების პასუხისმგებლობასაც გულისხმობდა, დროულად ვერ მოხერხდა სათანადოდ მომზადება საავტორიზაციო ვიზიტისთვის. ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა ინტენსიური მუშაობა.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან მრავალი პროექტი და აქტივობა ხორციელდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების, მასწავლებლების მხარდასაჭერად, ამიტომ მათი გაზიარება, გამოყენება სწორედ სკოლის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 210 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლას (ს/კ: 226526202) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, დაბა კოჯორი, ოდიშელიძის ქუჩა N19, ქ. თბილისი, სოფ.კიკეთი, დიდების ქუჩა N6;
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, დაბა კოჯორი, ოდიშელიძის ქუჩა N19, ქ. თბილისი, სოფ.კიკეთი, დიდების ქუჩა N6;
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, დაბა კოჯორი, ოდიშელიძის ქუჩა N19, ქ. თბილისი, სოფ.კიკეთი, დიდების ქუჩა N6;

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.

17.45 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ. საბჭოს სხდომას გაუძღვა მისი მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.

4. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის

მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოთაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში 34 მოსწავლე ირიცხებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები: 1.2, 3.1 და 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობდა იგი დაწესებულების შესახებ პრეზენტაციის წარდგენისას, სკოლაში არსებული ლაბორატორიის, როგორც „მოუხერხებლის“ შეფასებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში არსებული ნიჟარების განლაგება იყო მოუხერხებელი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლისგან მიღებული ინფორმაციით, ვერ ხდებოდა აღნიშნული სივრცის აქტიურად გამოყენება.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტზე და ექსპერტს მიმართა კითხვით, ირიცხებოდნენ თუ არა სკოლაში განსხვავებული რელიგიური მრწამსის მოსწავლეები. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდნენ ეკომიგრანტები მაღალმთიანი აჭარიდან. საბჭოს წევრის, ნატო გაბოშვილის განცხადებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები იყო იდენტური, კერძოდ, მეორე და მეცხრე კლასების სადამრიგებლო პროგრამები არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლაში ირიცხებოდა მცირე რაოდენობის მოსწავლე, შესაბამისად, დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებები ძირითადად ატარებდა არა საკლასო, არამედ სასკოლო მასშტაბის ხასიათს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, მოცემული დროისთვის ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსულებელმა, მანანა ლონდარიძემ აღნიშნა, რომ სკოლა ზემოხსენებულ დოკუმენტს ელოდებოდა დეკემბრის ბოლომდე. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ სკოლის რეაბილიტაციის დაგეგმვის პროცესში განხორციელდა საძირკვლის მდგრადობის შემოწმება. ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა, რომლის თანახმადაც, შენობის საძირკველი იყო მდგრადი, რაც იძლეოდა შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების საშუალებას.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები ძირითადად სრულყოფილი არ იყო და ექსპერტებს მიმართა კითხვით, როგორ აფასებდნენ აღნიშნულ დოკუმენტებს. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა შეროზიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებები თავდაპირველად იყო ძალიან ზოგადი, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტისგან სკოლამ მიიღო გარკვეული რჩევები და რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლას (ს/კ : 223104389) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით.დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტები.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ: ნაგებობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში წარდგენა.

5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ორგორაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 40 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 35 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მეორე სტანდარტი დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო საბაზო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტის მოთხოვნებთან ასევე „მეტწილად“ შესაბამისი იყო კომპონენტები 1.2, 3.1 და 3.4.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში წლების წინ გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებამდე სასწავლო პროცესები მიმდინარეობდა მეზობელ სოფელში მდებარე სკოლაში.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით, რომელ წელს იყო სკოლაში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2021-2022 სასწავლო წელს.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები რიგ შემთხვევებში არ იყო სრულყოფილი და ამასთანავე, კურიკულუმების სტილი ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც არ ტოვებდა სკოლაში შეთანხმებული და გუნდური მუშაობის შთაბეჭდილებას. საბჭოს წევრმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლაში ადგილი თანამშრომლობას, იდეების გაზიარებასა და შეთანხმებას. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, როლანდ ხოჯანაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად კურიკულუმების ჩარჩოებს შორის დიდი სხვაობისა, სკოლაში მასწავლებლებს შორის არსებობდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, ისინი ატარებდნენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ახორციელებდნენ ერთობლივ პროექტებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, სკოლის ლაბორატორიით უზრუნველყოფის მიზნით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ქმედითი ნაბიჯები გადადგმული მოცემული დროისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნელი ნათენაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში სკოლის ბიუჯეტიდან შეძენილი იყო ლაბორატორიისთვის ამწოვი კარადა და ხელსაბანი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ეტაპობრივად გეგმავდა ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსების შეძენას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირინა გოგონაიამ აღნიშნა, რომ სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. სკოლას STEM-ის კონფერენციაზე წარმოდგენილი ჰქონდა ინტეგრირებული პროექტი, სახელწოდებით „ჩემი სკოლის საოცნებო პარკი“.
სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლას (ს/კ : 223104432) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორგორა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორგორა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტები.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ: სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნაისა და შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვვება და ცენტრში წარდგენა; ასევე, სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა და დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში წარდგენა.

18:15 საათზე საბჭოს სხდომას შემოურთდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.

6. სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაცხოვრისკარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო

პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 100 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი პირველი, მეორე(დაწყებითი, საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.5 „მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტმა, ია სოხაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ია სოხაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. დაწესებულებაში ჩამოყალიბებული იყო „ეკო სკოლა", რომლის ფარგლებშიც სკოლაში ხორციელდებოდა გარემოსდაცვითი აქტივობები. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ალბომი „ჩვენი სკოლის მატიანე", სადაც ინახებოდა ისტორიული ფაქტები სკოლასთან დაკავშირებით. ალბომში მოცემული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ სრულ შთაბეჭდილებას უქმნიდა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ისტორიის კურიკულუმზე და სკოლას მისცა რჩევა მომავალში დავალებები ყოფილიყო მეტად ორიგინალური და შემოქმედებითი.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, აკაკი სადუნიშვილმა განაცხადა, რომ მისი მხრიდან გაიცა რჩევები საზოგადოებრივი მიმართულების კურიკულუმებთან დაკავშირებით და ინტერვიურების დროს სკოლამ გამოხატა მზაობა რჩევების გათვალისწინების თაობაზე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილამოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმის დოკუმენტზე.მისი თქმით, ამ მიზნით დაწესებულებაში შექმნილი იყო მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისია. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობდა გარკვეულ ფაქტორებთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული სამეთვალყურეო საბჭო და კომისია იყო თუ არა ორი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, სვეტლანა ბოკუჩავამგანმარტა, რომ დოკუმენტში საუბარი იყო ორ სტრუქტურულ ერთეულზე. სამეთვალყურეო საბჭო ახდენდა მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესწავლას და შემდგომში მოძიებულ ინფორმაციას აწვდიდა კომისიას. სვეტლანა ბოკუჩავამ დასძინა, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები შეთანხმებულად მოქმედებდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლას (ს/კ : 222431198) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაცხოვისკარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაცხოვისკარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ცენტრში წარდგენა; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება და დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში წარმოდგენა.

7. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო კაშიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაისუბანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 350 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.5 „მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, ნინო კაშიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ნინო კაშიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას. სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული პროფესიულ კოლეჯთან „ჰორიზონტი“. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იგრძნობოდა სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება კურიკულუმებთან დაკავშირებით. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, სერგო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები პირველივე ეტაპზე თითქმის სრულყოფილად იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებმა მისგან მიიღეს მცირე რაოდენობის რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლაში არსებულ კლუბებზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით, რამდენად აქტიურად მუშაობდა სკოლა ამ კუთხით. სკოლის დირექტორმა, მალვინა ოსეფაიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა კლუბები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახორციელებდნენ მრავალფეროვან პროექტებს და ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საახალწლო ღონისძიებასთან დაკავშირებით, კლუბების ფუნქციონირების ფარგლებში, იგეგმებოდა მოსწავლეების მიერ დამზადებული რესურსების გამოფენა-გაყიდვა. სკოლა, ასევე, გეგმავდა ეწარმოებინა ნერგები გარემოს გამწვანების მიზნით. დირექტორის განცხადებით, დაწესებულებაში გასულ წლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა არაფორმალური განათლების კუთხით. სკოლას ჰქონდა განხორციელებული ექვსი საგრანტო პროექტი.

დაწესებულების დირექტორმა, მალვინა ოსეფაიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები სკოლის მიერ უკვე გათვალისწინებული და

ნაწილობრივ განხორციელებული იყო. დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც, შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლას (ს/კ : 242007555) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350- ით.დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის; შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი რესურსებით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

8. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო კაშიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლებაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 129 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 129 მოსწავლისთვის.
ნინო კაშიას განცხადებით, ოთხივე სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო, როგორც “მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაცია. მისი თქმით, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა. ნინო კაშიამ განმარტა, რომ სკოლა იყო ახალი აშენებული და გააჩნდა სათანადოდ მოვლილი ინფრასტრუქტურა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა წარმოედგინა მეტი დეტალები საბჭოსთვის მის მიერ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით.
ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა, თამარ თავშავაძემ, აღნიშნა, რომ მის მიერ გაცემული რჩევები ძირითადად უკავშირდებოდა კურიკულუმებს, კერძოდ, ხელოვნების მიმართულებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რჩევები ეხებოდა შეფასების კრიტერიუმებსაც, რომელიც წარმოდგენილი იყო უნივერსალური სახით და არ იყო მორგებული კონკრეტულ საგანს. ექსპერტმა, ასევე განაცხადა, რომ სკოლაში არ იყო კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვარიანტები სსსმ მოსწავლეებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, იყო თუ არა სკოლაში შექმნილი ინკლუზიური გარემო და წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული საკითხი სკოლის პრიორიტეტს.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, სამსონ ჯიბუტმა განმარტა, რომ სკოლამ უზრუნველყო გაცემული რჩევების გათვალისწინება, კურიკულუმების, სასწავლო გეგმების ადაპტირება სსსმ მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. მისი განცხადებით, სკოლაში მიმდინარე პერიოდში ირიცხებოდა მხოლოდ 2 სსსმ მოსწავლე, რაც შეეხებოდა ინკლუზიურ გარემოს, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა იყო სათანადოდ ადაპტირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 129-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლას (ს/კ:242007430) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 129 - ით.დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ამაღლება
2		საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ამაღლება

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ამაღლება

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და მისი შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ცენტრში წარმოდგენა.

9. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაგდა მიქაბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთში, პირველი ქუჩა N10-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 80 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80- მოსწავლისთვის.

მაგდა მიქაბერიძის განცხადებით, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, ასევე „შესაბამისად“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა „შესაბამისად“, თუმცა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რაც განპირობებიული იყო აღნიშნულ საფეხურებზე 2.2 კომპონენტის „მეტწილ შესაბამისად„ შეფასებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. მისი განმარტებით, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი. დაწესებულება ორიენტირებული იყო თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და განვითარებაზე. სკოლის მასწავლებლები მოხალისეობრივი საწყისებით ამზადებდნენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც აისახებოდა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბები არაფორმალური განათლების მიმართულებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან „იბერია“ და უნივერსიტეტთან, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა აემაღლებინათ ცნობიერება პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის ბაზაზე ხდებოდა მომავალი მასწავლებლების მომზადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

ექსპერტის თქმით, განსაკუთრებით აქტიური და გამორჩეული იყო დაწესებულებაში არსებული სპორტის მიმართულება. სკოლას მოგებული ჰქონდა უამრავი პრიზი სხვადასხვა სპორტის სახეობაში. მან ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, გაეცნო და მიაჩნდა თუ არა შესაბამისად სკოლის მიერ ბმულების სახით წარმოდგენილი სასწავლო რესურსები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა , კახა გალდავამ განაცხადა, რომ ის გაეცნო აღნიშნულ რესურსებს და მიიჩნევდა, რომ ზოგიერთ მათგანი იყო მწირი, ან საერთოდ შეუსაბამო. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს განხორციელდა ზემოხსენებული საკითხების განხილვა და დაწესებულებისგან განმარტებების მიღება. , მისი თქმით, სკოლამ სწავლის დასაწყისში შექმნა რესურსები საკმაოდ დაჩქარებულ დროში და ამ მიზეზით ვერ მოხდა დოკუმენტაციის სრულყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა თვითმმართველობის ოქმი, რომელშიც ასახული იყო ერთი მოსწავლის არჩევა თვითმართველობის შემადგენლობიდან დისციპლინურ კომიტეტში, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა აღნიშნული კოლეგიალური ორგანოს მუშაობას, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რომელ მნიშვნელოვან ინიციატივებს განიხილავდა მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლის დირექტორმა, მანანა გურგენაძემ განაცხადა, რომ თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში მიმდინარე პერიოდში თვითმართველობის ინიციატივით ხორციელდებოდა პროექტი „ეკო კლუბი“.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლას ვეგ-გვერდზე განთავსებულ ძლიერ მხარეებში დაფიქსირებული ჰქონდა ინფორმაცია დაწესებულების მიერ მოსწავლის სოციალური, ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შესახებ საჭიროებების დადგენის

თაობაზე, შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა გაეზიარებინა, რას გეგმავდა სკოლა ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, მანანა გურგენაძემ განაცხადა, რომ მათი მოსწავლეები ქმნიდნენ ხელნაკეთ ნივთებს, რომლის გამოფენა - გაყიდვასაც გეგმავდა სკოლა, შემოსული თანხით კი აპირებდნენ მოსწავლეების დახმარებას.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის დირექტორს რჩევის სახით განუცხადა, რომ სათანადოდ გაეთვალათ და გაეთვალისწინებინათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებული რისკები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლას (ს/კ:225065372) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი, პირველი ქუჩა N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი, პირველი ქუჩა N10
3		საშუალო	ქართული	ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი, პირველი ქუჩა N10

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის სრულყოფილად აღჭურვის (შირმა, კომპიუტერი, პულსოქსიმეტრი, მხედველობის შესამოწმებელი ცხრილი, კისრის ფიქსატორი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, შპადელი, სტერილური საფენები. ექთნისთვის სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და მომსახურების სააღრიცხვო ფორმა), შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების, სკოლის მოძრავი პანდუსით/ან ლიფტით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

10. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის

თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500- მოსწავლისთვის.
ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი და კომპონენტები 1.1 , 1.2 შეფასდა „მეტწილ“ შესაბამისად. მესამე სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“, თუმცა კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5, 3.6 შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეოთხე სტანდარტი და კომპონენტები 4.1, 4.2 ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ასევე „მეტწილად შესაბამისად“, რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრის, ნატო გაბოშვილის განცადებით, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ სკოლას საავტორიზაციო ჯგუფის ვიზიტამდე ჩამოყალიბებული ჰქონდა მისია, ხედვა და ღირებულებები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია კერძოდ, სასკოლო საზოგადოების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტების გაზიარების საჭიროების თაობაზე. საბჭოს წევრმა ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა.
ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში, აღმოჩნდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ იყო გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, ამიტომ სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდებოდა მასწავლებლებით, მოსწავლეებითა და მშობლებით, რის შემდეგაც ისინი უზრუნველყოფდნენ აღნიშნული დოკუმენტაციის გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების ა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლას (ს/კ:232550851) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500- ით.დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოკამი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოკამი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოკამი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.

11. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციი ს საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე, კერძოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, რუსთაველის ქ. N407- ში და საირმის ქუჩა N29-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500- მოსწავლისთვის.
ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა ასევე „შესაბამისად“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ასევე გააზიარა სკოლის შენობების ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის მთავარი შენობა რეაბილიტირებული იყო, თუმცა საირმის ქუჩაზე მდებარე შენობა, სადაც სწავლობდა 7 მოსწავლე, საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლას მდგრადობის შესახებ დოკუმენტის მოპოვების ვადები არ ჰქონდა გაწერილი და განსაზღვრული შესაბამისობის გეგმით, ამიტომ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა მეტი ინფორმაცია გაეზიარებინა საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რუსუდან ფანგანმა განაცხადა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლას უკვე შეთანხმებული ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან და აქტიურად მუშაობდნენ შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების მოპოვების საკითხებზე, რასაც უახლოეს მომავალში დაასრულებდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლას (ს/კ:220373735) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407;, საირმის ქუჩა N29
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407;, საირმის ქუჩა N29
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407;, საირმის ქუჩა N29

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ორივე შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის და ორივე შენობის პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა